პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 26 (20067) კვირა, 31 იანვარი, 1988 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

ვეტერანები

ვეტერანი, ესე იგი — დიდხანს ნამსახური;

ვეტერანი, ესე იგი — ომგადახდილი მებრძოლი;

ვეტერანი, ესე იგი — გამოცდილი მეომარი — ახე „ეძებს“ ლექსიკონი უძველესი სიტყვის ზუსტ შესატყვისს, ხოლო თქვენი ცხოვრების გზას ამ სიტყვის შინაარსში მოქცეული ყველა ნიუანსი ერთნაირად ზვენის.

გადაუვლია ღრუბლებს, ჩამდგარან ჭირიშლები, თქვენ კი არ იშლით თქვენსას — ისევ ახალი ბრძოლების გადასახდელად მიგიწევთ გული. რადგან, ვის, თუ არა თქვენ, მოგეხსენებათ, რომ ცხოვრება ბრძოლაა ჩაუშცხრალი, რომელშიც ბზარად თვით სიცოცხლის ფასად იმარჯვების სიკეთე და სიყვარული.

როგორ უნდება განახლების დიდი იმედებით აღსავსე ჩვენს მღელვარე დღეებს თქვენი ჯალარა და თქვენი თბილი ღიმილი, შორეული სიუჟეტვილის სიანცის უბიწობა რომ შემორჩენია!

ეგ თქვენი ჯილდოებიც — მუხლჩაუხრელი შრომის, ფუდამ ცეცხლით მოგუგუნე ბრძმედთან გათენებული ღამეების, ალიონიდან ალიონამდე მცხუნვარე მზისა და ჭარ-წვიმაში ახალმშენებლობათა მოედნებსა თუ საკოლმეურნეო ველ-მინდრებზე გატარებული მრავალზე მრავალი დღის, ვაუკაცურად გარდახდილი ბრძოლათა ხსოვნის ყვავილები — კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ, რომ სიცოცხლე მხოლოდ იმ კაცისა ფასობს, ვისაც არაერთი განსაცდელი გადატანია, მაგრამ თავისი რწმენა და იდეალი, თავისი ღირსება და პატიოსნება არასოდეს არაფერში გაუცვლია.

არავის არაფერს ამაღლით, თქვენ იცით ომის ფასი, რასაც სიცოცხლე მოახმარეთ.

იცით: მხოლოდ ახე შეიძლებოდა გასთენებოდა დაუვიწყარ და ნათელი დღე პაჭაშნა გოგონას, ახლა თქვენ შორის რომ ჩამდგარა და ფიქრიანი თვალებით უმზერს ყოველივეს ირგვლივ.

ამ რწმენაში ყველაფერია!

ვინ უწყის, რამდენჯერ გტანია გული, რამდენჯერ მარცხის სიმწვავეც გიგრძნიაო, მაგრამ არასოდეს დანებებულხართ და ახლა, მოზეიმე ახალგაზრდობის შემგებლარეს, თვალსა და ხელს შუა გაფრენილი სეპახუას მოგონება სიამაყით აღგავსებთ იმით სანაცვლოდაც, ვინც თავი განახლების ჭარიშლებს შესწირა.

დაგარჩეს ეს სურათი როგორც მამათა სახსოვარი, ერთხელ კიდევ ახე ძლიერად რომ გვაგრძნობინებს იმ წრფელი სიტყვების ჭეშმარიტებასა და ფასს, რომლებიც საქართველოს კომუნისტთა დღევანდელი თაობის ფიცვით წარმოთქვა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ტრიბუნიდან: „ჩვენ ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, თქვა მიხეილ სერგის ძემ, და მართლაც ჩვენ ხომ ერთხელ მოვდგავართ ამქვეყნად. მაშ, მოდით, ჩვენი სიცოცხლე — კომუნისტების სიცოცხლე გავატაროთ ღირსეულად, ნამუსიანად, კეთილსინდისიერად, ძალ-ღონის დაუშურებლად, რათა არ შეგვრცხვეს ჩვენი ზვალებისა და შვილიშვილების, შთამომავლების, როცა ჩვენ ბერანი ვიქნებით, ბერანი ვიქნებით, ბერანი ვიქნებით“.

ნიათ გული, ამ ფიცს ერთგულ ერთგულ ერთგულ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ „ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ“

№ 1

ᲩᲕᲔᲜ ახალი რუბრიკა — „ვეტერანი“, რომელსაც დღეიდან გთავაზობთ, ალბათ, დაგაინტერესებთ და აღგიძრავთ რედაქციასთან თანამშრომლობის სურვილს, მოგვაწოდებთ წერილებს ჩვენს ღვაწლმოსილ ადამიანებზე, იმათზე, ვინც თავის ზურგზე გადაიტანა ქვეყნის აღმშენებლობითი სიძნელეები და გმირულად იბრძოდა დიდ სამამულო ომში სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

გარდა იმისა, რომ ვავაშუქებთ საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაციის მუშაობას, ყურადღებას გავამახვილებთ უფროსი თაობის ადამიანთა საჭიროპორტო საკითხებზე — რა უჭირთ და რა აღელვებთ, რა დახმარებას საჭიროებენ, როგორ მონაწილეობენ ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე გარდაქმნაში, რა როლს ასრულებენ ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაში. გამოვაქვეყნებთ „იურიდიულ კონსულტაციას“, „ექიმის რჩევას“.

გთხოვთ, ძვირფასო მეგობრებო, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ამ რუბრიკის გაფუქებაში, რათა უფო გაღრმავდეს და მრავალფეროვანი გახდეს იგი.

ველით თქვენს წერილებს.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲐᲦᲛᲨᲠᲓᲔᲚᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲐᲒᲔᲗ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲛᲘᲗᲘ — ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲒᲛᲐᲨᲘ. ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲒᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲬᲔᲠᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲠᲐ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲗ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲕᲔᲛᲐᲚᲔᲑᲐ!

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ш. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ Ш.ᲛᲔᲡᲮᲘᲐ, ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲛᲝᲛᲙᲘᲗᲮᲠᲗᲐᲠ, ᲠᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲮᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

— უპირველეს ყოვლისა, მთელი კავშირის მასშტაბით ვეტერანთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების თვით ფაქტი ხანდაზმულ, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ადამიანებზე პატრეოტია და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი გამოხატულება, მათი ღვაწლის დიდი დაფასება. ვეტერანები ხომ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მებრძოლური ხასიათით, საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, ორგანიზებულობითა და სიმტკიცით კვლავ დიდ ძალას წარმოადგენენ გარდაქმნის პერიოდში, რომელიც ამჟამად ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს.

რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების საწარმოებში, დაწესებულებებსა თუ სასწავლებლებში, აგრეთვე, კოლექტიურობისა და სასარფლო საბჭოებთან შექმნილი ვეტერანთა ორგანიზაციების ძირითადი მიზანია შეისწავლონ თითოეული ომისა თუ შრომის ვეტერანის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, გაარკვიონ, რა უჭირთ მათ, იღელვებ თუ არა ის დახმარებას, სარგებლობენ თუ არა იმ უფლებებით, რომლებიც მათ ოფიციალური დადგენილებით აქვთ მინიჭებული, როგორია მათი საბინაო პირობები, როგორ ზრუნავენ ვეტერანთა შრომითს საქმიანობაში ჩამბისათვის, მათი ჯანმრთელობის გაუჯობესებისათვის, მარტოხელა, შრომისუნარშოკლებული მოხუცთა დახმარებისათვის.

თუმცა ჩვენი რესპუბლიკური ორგანიზაცია არცთუ ისე დიდი ხანია ჩამოყალიბდა, უკვე ბევრი სასაკეთო საქმე გაკეთდა. ვეტერანთა ორგანიზაციების მუშაობის გაკეტილებაში დიდი როლი შეასრულა საკავშირო რეიდმა, რომელიც ითვალისწინებდა: ომისა და შრომის ბენსიონერ ვეტერანთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლასა და გაუმჯობესებას.

ალსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში დიდი ყურადღებით მოეკიდნენ საკავშირო რეიდის ყოველ-ზრივ ორგანიზებულად და საქმიანად წარმართვას. მთელი მუშაობის კოორდინაციისათვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზურაბ ჩხეიძის თავმჯდომარეობით. შესაბამისად, მინისტრთა საბჭოს მითითებით, ყველა რეგიონში შეიქმნა რეიდის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები.

— ხომ ვერ გვეტყვით, რა გამოვლინდა რეიდის მსვლელობაში და როგორ გაუჭირბეს ომისა და შრომის ვეტერანთა ცხოვრების პირობები?

— მთელი რიგი რაიონებიდან მიღებული გვაქვს ინფორმაციები, სადაც აღნიშნულია, რომ ვეტერანებს ურემოტენენ ბინების, აძლევენ საშენ მასალებს, სათბობს, ზრუნავენ მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის, აძლევენ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზურებს, ეხმარებიან საცხოვრებელი ბინების მიღებაში, უდგამენ ტელეფონებს. აგე, მაგალითად 900-ზე მეტ ვეტერანს გაუუჯობესეს საბინაო პირობები. შეარმონტეს 1600 ბინა, დადგეს 5000 ტელეფონი. დახმარება გაუწიეს 2000 მარტოხელა მოხუცს.

საინტერესო გამოცდილება აქვს გაწეული რაიონის ვეტერანთა საბჭოს. მათ შეიმუშავეს დახმარების საკუთარი პროგრამა. გურჯაანელებმა რაიონში გამოავლინეს 97 მარტოხელა შრომისუნარმოკლებული მოხუცი და თითოეული მათგანი მიამაგრეს საწარმოს, კოლმეურნეობას, სკოლის უფროსკლასელებს, რომლებიც სისტემატურ დახმარებას გაუწევენ ომშეფი დახმარებას.

ალსანიშნავია, რომ ბევრ საწარმოში, ორგანიზაციაში არც კი ახსოვთ ისინი, ვინც დამსახურებულ პენსიაზე გაუშვეს, არ არიან დაინტერესებული მათი დღეგანდელი მდგომარეობით. ამიტომ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულისათვის, როცა მას მოიგონებენ, შეეხმიანებიან. ამით მათ ხომ სიცოცხლეს უხანგრძლივებენ. და ბოლოს, ამას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ვეტერანთა ორგანიზაციების წინაშე დღესდღეობით მრავალი გადაუჭრელი პრობლემაა. კვლავ ნეული ტემპით სრულდება ინვალიდებისა და ომის მონაწილეთა საბინაო პირობებით დაკმაყოფილება. მარტო თბილისში ბინის მიღების რიგს ელოდება 550 ომის ინვალიდი და 1300 ომის მონაწილე.

ბევრი ინვალიდი ასევე მრავალ წელია ელოდება ბინაში ტელეფონების დადგმას. ეს პრობლემა ულიანოვსკის ოლქში ასე გადაწყვეტეს: იმის გამო, რომ ადგილებზე არ ჰქონდათ თავისუფალი ნომრები, საწარმო-დაწესებულებებში შეამცირეს მათი რაოდენობა ისე, რომ ამით არაფერი დაშავებულა, და გამოთავისუფლებული ნომრებით ინვალიდთა მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

სეჩენოზელი ხარვეზებია სამედიცინო და სავაჭრო მომსახურებაში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა რაიონებსა და სოფლებში. იმ შეღავათებით, რომლებიც ქანონით ვეტერანებს ეკუთვნით, ადგილებზე არ სარგებლობენ, რასაც ვეტერანთა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ.

გაკეთებულია მოხუცთა პანსიონატებისა და სახლ-ინტერნატების მშენებლობა ქუთაისის, დუშეთისა და ქობულეთის ტერიტორიაზე. ხოლო იქ, სადაც ასეთი სახლები არსებობს, ბევრგან არ არის მოხუცთათვის შექმნილი ნორმალური პირობები, რისთვისაც სათანადოდ უნდა იზრუნონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და, განსაკუთრებით, ვეტერანთა ორგანიზაციებმა.

ჯერ კიდევ მრავალი გადაუჭრელი საკითხი გვაქვს, მაგალითად: პენსიონერთა შეძლებისმაგვარად შრომითის საქმიანობაში ჩაბმა, ვეტერანთა ორგანიზაციებისათვის სათანადო საბუმთო ოთახების გამოყოფა, კლუბების შექმნა, რომლებიც ვეტერანთა შორის მუშაობის თავისებურ მაორგანიზებელ ცენტრებად იქცევა.

— ომის ვეტერანები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ ახალგაზრდობის პატრიოტულ სულისკვეთებით აღზრდაში, როგორია ამ მხრივ ახლად შექმნილი ორგანიზაციების როლი?

— ამ საქმეში სამამული ომის ვეტერანები ნამდვილად დიდ ენთუზიაზმს იჩენენ. ისინი სიამოვნებით მიდიან ახალგაზრდებთან, აცნობენ მათ ომის ცალკეულ ეპიზოდებს, ომის მონაწილეთა ბიოგრაფიებს — ჩვენი ისტორიის, ცოცხალ ფურცლებს. და რა სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდებიც ინტერესს იჩენენ ვეტერანებისადმი. მათ იწვევენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაცილების საზეიმო შეკრებებზე, აგრეთვე მემორიალებისა და ძეგლების გახსნაზე.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკურ ორგანიზაციას დიდი პოლიტიკური და სოციალური დანიშნულების ამოცანები აქვს დასახული. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ვეტერანები აქტიურად ჩავაბთ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმედია, ისინი კვლავ იქნებიან პარტიის ერთგულნი და სიმამაცე თანამემგზავრნი ყველა მის საქმესა და მიღწევებში, ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ პარტიის მიერ დასახული ამოცანათა შესრულებაში.

ესაუბრა

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ. Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲖᲠᲣᲜᲕᲐ, ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲝᲛᲘᲡᲐ და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმსა და სახლობი დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ჩვენს ტერიტორიაზე აღრიცხული ჰყავთ 116 მარტოხელა ხანდაზმული და ავადმყოფი ვეტერანი. მათთვის სისტემატური დახმარების აღმოჩენის მიზნით გამოიყო შეფი ორგანიზაციები. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ კომკავშირელები და პიონერები.

რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მითითებით შეფმა ორგანიზაციებმა და ომისა და შრომის ვეტერანთა პირველადმა ორგანიზაციებმა დახმარება აღმოუჩინეს მარტოხელა ვეტერანებს — საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში, საცხოვრებელი ბინების შეკეთებაში, მოსავლის აღებაში, შეშის მოტანასა და დახერხვაში. ბევრ მთგანს, ვეტერანთა რაიონული და პირველადი ორგანიზაციების შუამდგომლობით, გაეწიათ ერთდროული ფულადი დახმარება, ზოგიერთს უფასოდ მიეცათ საანტორიუმის საგზური, სამინდი, პირუტყვის უხეში საკვები, სატვირთო ტრანსპორტი და საშენი მასალები, აგრეთვე შეღავათიან ფასად მიეყიდათ ღუმელის საწვავი, ქვანახშირი და შეშა.

1987 წელს ომისა და პარტიის ვეტერანებს, ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებსა და პერსონალურ პენსიონერებს გამოუყვეს ზნეადასხვა სახის საშენი მასალა, ინვალიდებს უფასოდ მიეცა „ზაპოროჟეცის“ მარკის 18 ავტომანქანა. დაისვა საკითხი, რომ ვეტერანებს გამოუყონ მათ საცხოვრებელ ბინასთან ახლოს მდებარე ნაკვეთები, დროულად მიეცენ ტრანსპორტი, სამეურნეო იარაღები, სასუქები და შხამქიმიკატები.

ამასთან უნდა ითქვას, რომ ნაკლოვანებებია ომის ინვალიდებს, პერსონალური პენსიონერებს, ომის მონაწილეებს თხეკადი საცხობოთი უზრუნველყოფის საქმეში, ნაკლოვანებებია ვეტერანთა სავაჭრო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

Მ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ,

მახარაძის ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

ᲪᲜᲝᲒᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ცხოვრობს 60 ათასი ვეტერანი. აქედან მესამედი ყოფილ იღეწნი საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შენებლობებსა და სასწავლებლებში.

გასული წლის სექტემბერ-ნოემბრში 50-ზე მეტმა ინვალიდმა და ომის მონაწილემ მიიღო კეთილმოწყობილი ბინა. ბევრ ვეტერანსა და შინმოუსვლელის ოჯახს შეურემონტეს საცხოვრებელი სახლები.

დიდი ყურადღება ექცევა ინვალიდთა და ომის მონაწილეთა ჯანმრთელობის ზედამხედველობის გაუჯობესებას. ქალაქებისა და რაიონების კლინიკებში ვეტერანებისათვის ცალკეა გამოყოფილი პალატები, აწყობენ „ჯანმრთელობის დღეს“.

კარგად მუშაობენ სოხუმის, გაგრის, ლუსეკოძის ვეტერანთა ორგანიზაციები, ისინი განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევენ მარტოხელა მოხუცებს. გულრიფშის ილინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — დ. ბიგვავა) ომის ინვალიდები, შინმოუსვლელთა ოჯახები, აგრეთვე შრომისუნარმოკლებული ვეტერანები გამოავლეს უფლებული ორიან ბინის ქირის, ელექტროენერგიის, გაზის გადასახადისაგან. ზამთრობით ისინი უზრუნველყოფილი არიან სათბობით, ხოლო ივისაც ავტომანქანა ჰყავს, ყოველწლიურად უსწიან ბენზინისათვის კომპენსაციის სახით 260 მანეთს.

ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ

1987 წელს ჭ. სილნალსა და წნორში გაიხსნა ომის ინვალიდებისა და მონაწილეებისათვის, აგრეთვე შრომის ვეტერანებისათვის სპეციალიზებული საკვები მაღაზიები. 8 ომის ინვალიდს უფასოდ მიეცათ მუხეტეკი ავტომანქანა და ეპისი საწვავის კომპენსაცია.

188 ვეტერანმა მიიღო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზურები. მარტოხელა პენსიონერებს ერთდროული ფულადი დახმარება გაუწიეს წნორის მეცხოველეობის კომპლექსმა, ძველი ანაგის, ბოდბისხევის, ტიბათნისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

ᲡᲝᲤᲝᲚᲐᲯ მეცხოვრებ 125 ოჯახს მიეცა 596 კუბური მეტრი შეშა, 210 ოჯახს — თითო ტონა ლუმლის საწვავი, სოფლებში — კაკრაში, შალაურში, გულეულაში, რუისპირში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალებით და საშეაღებით საცხოვრებელ სახლებს უშენენენ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა და მარტოხელა, შრომისუნარმოკლებულთა ოჯახებს.

ტელეფონები ბინებში დაუდგეს 175 სამამულო ომის მონაწილეს. მოკლე ხანში თელავში მუშაობის დაიწყებს ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური, რაც საშეაღებას შექმნის დაკმაყოფილნენ სამამულო ომის მონაწილეთა და შინმოუსვლელთა ოჯახები, აგრეთვე სოფლების — ბუმტის, კოლეოლის, წინანდლის, ვარდისუბნისა და კურდღლეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ვეტერანები.

11 ინვალიდს უფასოდ მისცეს ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ᲝᲛᲘᲡ ინვალიდებს, ვეტერანებს, შინმოუსვლელთა ოჯახებს ფულადი დახმარების სახით მიეცათ 50120 მანეთი. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში უფასო საგზურებით დაისვენა 245 კაცმა. 17 ოჯახს შეურემონტეს საცხოვრებელი სახლი, 12 ვეტერანს ბინაში დაუდგეს ტელეფონი.

რაიონში საშეფო ორგანიზაციები მრავალმხრივ დახმარებას უწევენ ომისა და შრომის ვეტერანებს, შინმოუსვლელთა ოჯახებს, ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, კახათის მარქსის სახელობის, რიყის, ოქუბის, ოდიშის, კორცხელის, ახალსოფლის, ჯიხაჯარის კოლმეურნეობებმა, დარჩელის, ნარეზაანის, ონარის, ინგირის საბჭოთა მეურნეობებმა. გარდა ფულადი დახმარებისა, კაპიტალურად შეუკეთეს საცხოვრებელი სახლები რამდენიმე შინმოუსვლელის ოჯახს.

კეთილმოეწყო და გაიხსნა საბრძოლო და შრომის დიდების ხუთი მუზეუმი.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ

ᲨᲐᲠᲐᲜ საცხოვრებელი ბინა მიიღო სამამულო ომის ვეტერანთა და ომში დაღუპულთა 11 ოჯახმა. 104 ომის ინვალიდსა და მონაწილეს, აგრეთვე 64 შრომის ინვალიდს ბინაზე დაუდგეს ტელეფონები.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის, აგროუბნისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, საწარმოთა თავკაცები არ იჩენენ გულისხმიერ დამოკიდებულებას ომის ვეტერანთა, მარტოხელა მოხუცთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სულად მოუვლელია ომის ვეტერანთა სპეციალიზებული მაღაზიებით მომსახურება.

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲓ ᲮᲐᲠᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ რედაქციას! გთხოვთ თქვენი გაზეთის დახმარებით მოამაქცევნინოთ ჩემი ფრონტელი ქართველი მეგობრები ხაზალი და ცხომერია, რომლებთანაც ერთად ვიბრძოდი 1944 წლის აპრილიდან ომის დამთავრებამდე. გამარჯვებას ბერლინში შევხვდით.

1945 წლის ზაფხულში დემობილიზაციით სამშობლოში დავბრუნდი. ქართველი ამხანაგები კი ისევ ბრანდენბურგში დარჩნენ და ირიცხებოდნენ მეკავშირეთა 185-ე ასეულში. შემორჩა ფოტოსურათი, რომელზეც გიგაზანთი (ფოტოზე ალბეგდილი მესამე ამხანაგი — მარცხნიდან პირველი — რუსია, იგი ჩვენი ასეულის მეთაური ყოფილა).

ᲒᲣᲠᲑᲔᲜ ᲐᲘᲠᲣᲛᲘᲐᲜᲘ,

ომის ინვალიდი.

კატრექსი: წამალი თუ გამაყუჩებელი?

სენსაციია და რეალობა

დღე არ გავა ისე, რომ რედაქციამ წერილების მოელი დასტა არ მიიღოს კატრექსთან — იმ პრეპარატთან დაკავშირებით, რომელსაც შავი ზღვის ზვიგენის კატრანის ღვიძლიდან ამზადებენ. წერილების ნაკადმა განსაკუთრებით იმატა ამ პოლო ხანს. ან რა გასაკვირია; კატრექსის კლინიკური გამოცდის ვადა, რომელიც სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ განსაზღვრა, ამოიწურა.

„ზეიცინსკაია გაზეთამ" უკვე გაგაცნოთ კატრექსის სიმსივნისსაწინააღმდეგო აქტიურობის კვლევის პირობები (1987 წლის 14 ოქტომბერი). როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებით, განისაზღვრა რვა ონკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება — ეხანი: სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემის საყავშირო ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრი, აგრეთვე ლენინგრადის, თბილისის, დონის როსტოვის, კიევის, მინსკის, ტაშკენტის და ტომსკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები. პრეპარატის კლინიკური შესწავლის ოქმი შეუთანხმდა მის ავტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ტექნოლოგიური ლაბორატორის ხელმძღვანელს ა. გ. გაჩეჩილაძეს. კვლევისათვის განსაზღვრულ ყოველ ცენტრში გაოვალისწინებული იყო კატრექსი გამოიყენებინათ 75 მოხალისეზე. ეხენი იყვნენ მეოთხე კლინიკური ჯგუფის ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულნი, რომელსაც ჩქნდათ ფილტვის, კუჭის, სარძევე ჯირკვლის, საკვერცხის კიბოს; ლიმფოსარკომა, ბელნოშა, ვილიამსის ხმისივნე, აგრეთვე ლეიკოზიანი ბავშვები. ყველა ეს ავადმყოფი საერთოდ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, თუმცა ისეთნი, რომელთა მკურნალობა თანამედროვე საშუალებებით უკვე შეუძლებელია სიმსივნითი პროცესის გავრცელების გამო.

ოქმის პირობები ითვალისწინებდა დიაგნოზის სავალდებულო მორფოლოგიურ კვლევიფიკაციას. სიმსივნე უნდა იზომებოდეს, ისინჯებოდეს, ფოტოგებეზი — რენტგენოლოგიურად განსაზღვრებოდეს. ადრე ჩატარებული სხვაური მკურნალობისა და ქიმიოთერაპიის შემდეგ გასული უნდა იყოს სულ ცოტა ორი თვე (მკურნალობის ამ მეთოდების ეფექტი ერთნაზეკარ-ორი თვის შემდეგ ჩნეს ხოლმე თავს კურსის დამთავრების მერე). სიმსივნითი პროცესის პროგრესირების გამოხატული ნიშნების დროს კატრექსის გამოყენება უფრო ადრეც შეიძლებოდა.

არ უნდა ემკურნალათ ისეთი ავადმყოფებისათვის, რომელებსაც ჩქონდათ თირკმლის, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვების უკმარისობა, დამბალა, პარეზი, ნეიროგენული სტრაჟენის სიმსივნე, აგრეთვე ტუბერკულიზი, ბრონქეკული ასთმა, ძვალში და თავის ტვინში გასული მეტასტაზები.

მაშ ახლ, გამოცდის ვადა ამოიწურა, როგორია შედეგები? სამწუხაროდ, ამას მკითხველებს ვერ გავაცნობთ. რატომ? სამინისტრო ცდილობს ჭერ-ჭერობით არ გამაჟღავნოს შედეგები. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჭერ კიდევ გასული კვირაში გაიმართა ამ შედეგების განხილვა, მაგრამ პრესის წარმომადგენლები არ მიუწვევიათო.

ამრიგად, სანამ კატრექსის ბედი რედაქციისთვისაც და მკითხველებისთვისაც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, ჩვენ შევიტყეთ პრეპარატის ოქ წელზე ხანგრძლივი „ავადმყოფობის ისტორია". იმის მიუხედავად, თუ რა დასკვნებამდე მივიდნენ მეცნიერები, იგი მაინც, უდავოდ, ჭკუის სასწავლელია.

1965 წელს ახალგაზრდა მეცნიერმა ა. გაჩეჩილაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი თემა იყო უჯრედების დაყოფის მართვის პოტენციური შესაძლებლობანი.

1988 წელს. სსრ კავშირის გამოგონებათა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია ა. გაჩეჩილაძის გამოგონება — „ისეთი ნივთიერების მიღების საშუალება, რომელსაც იმენმასტიმულირებელი უნარი ექნება".

გამოგონების საავტორო მოწმობა (№ 193.613) გასცა სსრ კავშირის. გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა. გამოგონების პრიორიტეტი — 1982 წელს 31 აგვისტო.

1987 წლის სექტემბერი-ოქტომბერი. თბილისში საგანგებო სტუდია შეიქმნა ამ სტატიკის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით. ათიათასობით კაცმა, როცა ეფერნალ „სმენაში" კატრექსის სიმსივნისსაწინააღმდეგო ეფექტანობის შესახებ გამოქვეყნებულ მასალას გაიცნო, საქართველოს დედაქალაქს მოაშურა და პირდაპირ ალყა შემოარტყა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ტექნოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლებს. ოფიციალურ ინსტანციებში შემოსეკა იყო, ეკიდრენბოდნენ, მოითხოდნენ: დაგვეხმარეთ პრეპარატის შოვნაში, დაიჩარეთ მისი გამოცდა, პრაქტიკაში დანერგვა...

რა საგანგებო ღონისძიებანი განხორციელდა მაშინ თბილისში ჩამოსული ავადმყოფების მისაღებად, გასასინჯად და აღსარაცებად, როგორ ცდილობდნენ წყესრიგი დუმყარებინათ „კატრექსის" გაუთავებელ რიგებში, უკვე იცით. მართლაც, სამინისტრომაც და ადგილობრივმა ხელისუფლებამაც ყველაფერი იღონეს, მაგრამ კითხვებზე სრული პასუხის გაცემა შეეძლო პრეპარატის მხოლოდ ოფიციალურ კლინიკურ გამოცდას, ჰოდა, ეს გამოცდაც დაიწყო.

ახლა ისმენთ მინსკის, ტაშკენტის, კიევის, მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ტომსკისა და დონის როსტოვის ონკოლოგიური ცენტრების ანგარიშებს. „სიმსივნისსაწინააღმდეგო ეფექტი პრეპარატს არა აქვს.... გაუჯობესების ობიექტური სურათი არ მიგვიღია... ინთნოოლოგიურ კვლევას დიდი მასტიმულირებელი ეფექტი არ დაუდასტურებია... სიცდილნი ამ ჭრეს, ...

ᲣᲙᲘᲗᲮᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐᲡ — ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ

ᲕᲔᲜᲐ. ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲕᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრისა და საშეალო და ნაკლები საშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულების დადების შემდეგ სულ უფრო მეტად დგება წინა პლანზე ის საკითხები, რომ შემცირდეს შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება ევროპაში ატლანტიკიდან ურალამდე. ისეთ პირობებში ვენის შეხვედრის ამოცანაა არ ჩამორჩეს პოზიტიურ დინამიკას, რომელიც დაისახა საერთაშორისო საქმეებში, უწინარესად, განიარაღების დარგში. ამისათვის საჭიროა გადაწყვეტილება, რომ განახლდეს ევროპის ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა კონფერენცია, აგრეთვე დაიწყოს მოლაპარაკება ევროპაში ატლანტიკიდან ურალამდე ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღების ძალების შესახებ, რომლის მანდატს ახლა ამუშავებენ ვენაში ევროპის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს 23 ქვეყნის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები წინადადებას აყენებენ, რომ სტოკჰოლმის კონფერენციის მიორე ეტაპზე შეუშვადეს ნდობის განმტკიცების ახალი შორს გამიზნული ღონისძიებანი, რომლებიც მოიცავენ ევროპის მთელ სამხედრო საქმიანობას, მათ შორის ავიაციისა და ფლოტის დამოუკიდებელ წვრთნას.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის დელეგაციამ ყურადღება მიაქცია ლონისძიებათა ფართო პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა მურმანსკში 1987 წლის ოქტომბერში, და შემდეგ დაკონკრეტა საბჭოთა ხელმძღვანელობამ. როგორც ცნობილია, ამ პროგრამის მიზანია შემცირდეს სამხედრო აქტიურობა და შეიზღუდოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო საქმიანობა ჩრდილოეთის ზღვებში, გავრცელდეს ამ რეგიონებზე ნდობის ღონისძიებანი. შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებას ითვალისწინებს საბჭოთა კავშირი ხმელთაშუა ზღვისპირეთის რეგიონისთვისაც.

ხაზგასმით აღინიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა პრაქტიკული მოლაპარაკების სიბრტყეში იქნეს გადატანილი სხვა ქვეყნების წინადადებანი, რომლებიც ეხება, კერძოდ, „იარეშელკის ბეგმის“ განხორციელებას, ბირთვული და ეკიბიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნას ევროპის ცენტრსა და ბალკანეთში, ყველაზე საშიშ სახეობათა შეტევითი შეიარაღების ორმხრივ გამოტანას და სხვა. მაგრამ ნატოს ქვეყნები თავს არიდებენ საგნობრივ სა-ბაუბარ ყველა ამ საკითხზე. უფრო მეტიც, ისინი უკვე რამდენიმე თვეა, უარს ამბობენ სრულად გამოთქვან სტოკჰოლმის კონფერენციის სახელწოდება და ცდილობენ ამოაგდონ აქედან სიტყვა „განიარაღება“.

არ იჩენენ საკმარის კონსტრუქციულობას არც ევროპის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებთან მიმდინარე კონსულტაციებზე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ მოლაპარაკების მანდატის შემუშავების საკითხთა გამო, უარს ამბობენ დაფიქსირონ ის დებულება, რომ მოლაპარაკების საგანი ჩვეულებრივ შეიარაღებასთან ერთად უნდა გაეხეს ორმაგი დანიშნულების საშეალებებიც. ამასთან დაკავშირებით ვენის შეხვედრის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრეს განცხადებას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტის დროს რომ გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ მომავალი მოლაპარაკების მანდატის საკვანძო საკითხის გამო ახალი კომპრომისული წინადადების თაობაზე.

ამავე დღეს გაიმართა ი. ბ. კაშლეგისა და საბჭოთა დელეგაციის წევრის გენერალ-მაიორ ვ. მ. ტატარინოკოვის პრესკონფერენცია, რომელზეც გააშუქეს საბჭოთა კავშირის მიდგომა საერთო-ევროპის პროცესის სამხედრო ასპექტებისადმი.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲘᲙᲕᲔᲗᲝᲗᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. მიუმხრობლობის მოძრაობის საკოორდინაციო ბიურომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაზე მოითხოვა დაუყოვნებლივ გამართულ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების ყოველისმომცველი, სამართლიანი და ბმკიცე მოწესრიგების მიზნით და აღნიშნა განსაკუთრებული როლი, რომელიც უნდა შესრულოს მისი მოწყობის უნარუნველყოფაში უშიშროების საბჭომ. სხდომაზე მიღებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგება შეუძლებელია, თუ ისრაელმა მთლიანად და უთუოდ არ გაათავისუფლა ყველა ოკუპირებული ტერიტორია, თუ მთლიანად არ განხორციელდა პალესტინელი ხალხის კანონიერი და ხელშეუვალი უფლებები, მათ შორის მშობლიურ ეკრანში დაბრუნების, თვითგამორკვევისა და მშობლიურ მიწა-წყალზე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს შექმნის უფლება.

დამასკო. გასულ პარასკევს ოკუპირებული არაბული ტერიტორიების პრაქტიკულად ყველა ქალაქი და დასახლებული პუნქტი გადაიქცა პალესტინელებისა და ისრაელის არმიის გაფთრებულ შეტაკებათა ასპარეზად. აქ მოსული ცნობების თანახმად, მძლავრი ისრაელის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოეწყო თელ-ავივის მიერ უკანონოდ დაპყრობილ იერუსალიმის აღმოსავლეთ (არაბულ) ნაწილში. არაბი მეხოვრენი წვადენენ ისრაელსა და ამერიკის დროშებს. ქალაქის ცენტრალური მეჩეთის „ალ-აქსის“ თავზე აღმართეს პალესტინის ეროვნული დროშა. დილიდან ქალაქის არაბულ უბნებში, ისევე როგორც ყველგან დაპყრობილ ტერიტორიებზე, თავი მოუყარეს ისრაელის არმიისა და პოლიციის დიდ ძალებს. მანიფესტაციათა მონაწილეებსა და დამსწრეთს შორის მოხდა მრავალრიცხოვანი შეტაკებანი. პალესტინელებს შორის მოეწყო დაპატიმრებანი, არიან დაჭრილები.

◆ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲘ

რომი. იტალიის მთავრობამ, რომელსაც ქრისტიანი დემოკრატი ჯოვანი გორია მეთაურობს, შეძლო მიეღო ნდობის ვოტუმი ქვეყნის პარლამენტის დეპუტატთა პალატაში, სადაც ამ დღეებში განიხილავენ საფინანსო კანონის იმ დოკუმენტის პროექტს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მუხლებს. ბოლო ორი კვირის მანძილზე კაბინეტი ექვსჯერ დამარცხდა საფინანსო კანონის პროექტის ცალკეული დებულებების გამო გამართული კენჭისყრის დროს და ოთხჯერ მიმართა ნდობის ვოტუმს. მემარცხენე ოპოზიციერმა პარტიებმა, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტურმა პარტიამ, მთავრობის მანევრი მიიჩნიეს პარლამენტზე აშკარა ზეგავლენად იმ მიზნით, რომ დაიცვას თავი წარმოდგენილ შესწორებათა განხილვის დროს შესაძლო „უსიამოვნო მოულოდნელობებისაგან“.

◆ ᲙᲐᲜᲐᲓᲐ

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ოტავა, კანადის მშვიდობის დაცვის კონკურსმა კანადის პრემიერ-მინისტრს ბ. მალროუნეს, ლიბერალური პარტიის ლიდერს დ. ტერნერსა და ახალი დემოკრატიული პარტიის ლიდერს ე. ბრონდენდს გაუგზავნა დეპეშები, რომლებშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი კონსერვატორთა მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ განახლდეს კანადის მიწა-წყალზე ამერიკული ფრთოსანი რაკეტების გამოცდა.

კანადის მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება, რომ შეწყვეტდა პირველი დარტყმის ამერიკული იარაღის გამოცდებს, როცა მიღწეული იქნებოდა მნიშვნელოვანი პროგრესი ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში, ნათქვამია დეპეშაში. 1987 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგად ვაშინგტონში დიდი ისტორიული შეთანხმება საშუალო და ნაკლები საშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ამერიკული ფრთოსანი რაკეტების გამოცდები კანადაში დღემდე გრძელდება.

◆ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲨᲯᲐᲡᲣᲚᲘ

ტოკიო. საპროტესტო დემონსტრაციით უპასუხეს იაპონიის პრეფექტურის სეიმიამის მეხოვრებლებმა იმის, რომ იქ ახალ სადგომზე მივიდა პირველი იაპონური ავომამავალი „მუცუ“, რომლის რეაქტორში აღმოჩენილია სერიოზული უნეხრავობანი. ჯერ კიდევ 1974 წელს „მუცუს“-პირველი რეისის დრო, მოხდა გემის ატომური რეაქტორიდან რადიაციის გაჟონვება. შემდეგ ატომმავალი ოთხ წელიწადს იდგა სახეობოს ნავსადგურში, სადაც ცდილობდნენ შეეკეთებინაო დეფექტიანი რეაქტორი, მაგრამ რემონტის შემდეგაც კი იაპონიის არც ერთი ნავსადგური არ დათანხმებულა მიეღო გემი, რომელიც ქმნის რადიაქტიური მოწამვლის საფრთხეს.

ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲑᲐᲜᲐᲚᲘ სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენა მოსკოვში დაეთმობა ქართველ მსახიობებს. დიდებული დარბაზის თაღებქვეშ აქედერდება რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. ყანჩელის ოპერა „და არა მუსიკა...“. ოპერას წარმოადგენენ თბილისის სოხარო თეატრის სოლისტები, დირიჟორის პულტთან იქნება სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჯანსუღ კახიძე.

გ. ყანჩელის ოპერა წარდგენილია ლენინური პრემიის მოსაკაზმებლად.

▼ ▼

ᲡᲝᲩᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲜᲔᲣᲚᲘᲡ რაიონის გამარჯვების საბჭოთა მეურნეობაში მწყობრში ჩადგა ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი, აქ ბინა დაიდო მეურნეობის დირექციამ.

გამარჯვების საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურმა კომიდამომ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით იღვაწა სახე. ადმინისტრაციულ სახლთან ერთად შესახებშნავ არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან სპორტული ბაგა-ბაღის, სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული ნაგებობანი, შენდება აგრეთვე კულტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, რისთვისაც გაიყვანეს ორი წყალსადენი. მალე სოფელს ცენტრალური გათბობაც ექნება, ყოველ ოჯახში აინთება ბუნებრივი გაზი. გარაჟებულია ინდივიდუალური ბინათმშენებლობაც. ერთ წელიწადში სოფელს 105 ახალი ორსართულიანი კოტეჯი შეეძატა.

სოციალური ზონის განვითარებას მოკლე ხანში 3,5 მილიონი მანეთი მოვახმარეთ, — გვითხრა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ოსმან რობანოვმა. — ცხადია, სახელმწიფომ სოლიდური სახსრები გამოყო, მაგრამ დიდ ნაწილს მეურნეობა ახანდენს ის მოგებიდან, რომელსაც ის ყოველწლიურად იღებს.

▼ ▼

ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲚᲝᲡᲘ კონტაქტებს ჩაუყარეს საფუძველი ზესტაფონის რაიონის ქალთა საბჭოს წევრებმა. ამ დღეებში ისინი ესტუმრნენ აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონს. შეხვდნენ სოფელ შუშანის ქართული რვაწლიანი სკოლის და ალიბეგლოს საშეალო სკოლის მოსწავლეებს, მათს პედაგოგებს, სტუმრობა და მასპინძლობა ერთმანეთს გაუზიარეს მომავალი თაობის აღზრდაში შეძენილი გამოცდილება, ასაუბრეს სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებულ საქმიბორორტო საკითხებზე. ქალთა საბჭოს წარმომადგენლები გაეცნენ აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის შრომითს საქმიანობას, დათვალიერეს საინგლოს ღორსშესანშნავი ადგილები.

▼ ▼

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲪᲐᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის, პიანისტი მახეალ ჭუმბურიძის ხელოვნება თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი. მისი დაკვრა გამოირჩევა შესრულების მაღალი კულტურით, ავტორის ჩანფიქრის ღრმა წვდომით. გამონაკლისი არ იყო თბილისის კონსერვატორის მეორე დარბაზში ახლახან გმართული კონცერტიც, რომელზედაც პიანისტმა ოსტატურად შეასრულა ბეთჰოვენის, ა. მაჩავარიანის, ს. ნასიძის, გ. პაატაშვილის ნაწარმოებები. მ. ჭუმბურიძემ ქართული მუსიკის მგზნებარე პროპაგანდისტია, იგი ხშირად ჩვენი რესპუბლიკის კომპოზიტორთა ნაწარმოებების პირველი შემსრულებელიც არის ხოლმე.

▼ ▼

ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲝᲕᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲯᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების პრემია მიენიჭა ქართველ და პოლონელ მეცნიერთა ჯგუფს ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში ერთობლივი გამოკვლევებისათვის.

საბჭოთა კავშირის მხრივ ეს სპატარი ჯილდო დაიმსახურეს საბჭოთა ხელმძღვანელმა პროფესორმა გ. მეგიდლიშვილმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. ბარამიძემ, მეცნიერმა თანამშრომლებმა ზ. გორდელაძემ და ნ. სიხარულიძემ, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე თანამშრომლობენ პოლონეთის მეცნიერებთან აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ცენტრთან.

სპეციალისტთა თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლო იყო. ქართველმა ფიზიოლოგებმა, რომლებმაც გამოიყენეს თანამედროვე აპარატურა, მეთოდები, ტვინის სისხლის მიმოქცევის გამოკვლევის დარგში შეძენილი მნიშვნელოვანი გამოცდილება, შეძლეს საინტერესო შედეგების მიღება. მათ მნიშვნელოვნად გააფართოეს და გააღრმავეს ცოდნა ტვინის სისხლის მიმოქცევის გავრცელებულ დარღვევათა განვითარების მექანიზმების შესახებ. კერძოდ, გამოკვლევამ ორგანულური მეთოდების შემუშავების წყალობით, პირველად შეისწავლეს თვის ტვინის ქერქის ელექტრული ფიზიოლათა ცვლილებები შეშუპების განვითარების პროცესში.

ქართველი და პოლონელი ფიზიოლოგების ერთობლივი სამეცნიერო მუშაობა რთულ ბიოსამედიცინო პრობლემებზე გაგრძელდება.

▼ ▼

ᲡᲐᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ — „ᲕᲔᲜᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

„ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ, ტემპი, ხარისხი, ეკონომია!“ — ამ დევიზით მოწყობილ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულად ცნეს მრავალტრიალიანი ბეგონი „ენგურის ჩირადანი“. მას მიეკუთვნა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და დარგის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპატაკი სიგელი.

„ენგურის ჩირადანი“ მტკიცედ რაზმავს კოლექტივს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ინტენსიურ-ეკონომიკური განვითარების კურსის დაჩქარებისა და მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. გაზეთში რეგულარულად იბეჭდება რეპორტაჟები, ნარკვევები, კორესპონდენციები ელექტროსადგურის მოწინავე ადამიანებზე, იმ მუშაობაზე, რომელიც საწარმოში მიმდინარეობს ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლისათვის. ახლს, პროგრესულს დამკვიდრებისათვის მიმართული ბევრი ინიციატივის მთავარედ გამოვდა „ენგურის ჩირადანი“. მისი თაოსნობით შეიქმნა, მაგალითად, ენგურპესის შრომითი დიდების მუზეუმი, რომელიც მრავალ დამთვალიერებელს ეზიდავს. „ენგურის ჩირადანი“ ხშირად ბეჭდავს ქვეყნის მონათესავე საწარმოთა მრავალტრიალიანი ბეგონების გაცვლით გვერდებს, გვაცნობს მუშაობის მოწინავე მეთოდებს, წარმოების ეფექტიანობის ზრდის დარგში მიღწეულ წარმატებებს, ამხელს ნაკლოვანებებს, ბარეგზებს, გვიჩვენებს მათი დაძლევის გზებს.

▼ ▼

ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡᲘ ᲒᲖᲘᲗ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ რაიონის სოფელ ქვედა საზანოს მცხოვრებლებს ორმოცდაათი კილომეტრის მეშოველ უწევდათ ვიდრე სოფელ ბოსლეგრამდე, დილიკაურსა და ქვედა საზანოში მოხვედრამდენ.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გაკეთდა და მწყობრში ჩადგა 5 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა და ხიდი. ადგილობრივ ბურჯაზე, რომელმაც გადაწყვიტა ამ სოფლების უმოკლესი მანძილით დაკავშირების პრობლემა.

„კომუნისტის“ საუთარი კორესპონდენტების **ბ. ჩხაიძის, ბ. ზარიკაძის** და **დ. ბიწაძის, საკადესისა** და **საკინფორმის** მასალები რუბრიკისთვის მომაზადა **ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.**

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲮᲐᲚᲐᲜᲓᲘ სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენა მოსკოვში დაეთმობა ქართველ მსახიობებს. დიდებული დარბაზის თაღებქვეშ აქედერდება რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. ყანჩელის ოპერა „და არა მუსიკა...“. ოპერას წარმოადგენენ თბილისის სოხარო თეატრის სოლისტები, დირიჟორის პულტთან იქნება სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჯანსუღ კახიძე.

გ. ყანჩელის ოპერა წარდგენილია ლენინური პრემიის მოსაკაზმებლად.

▼ ▼

ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲮᲘᲜᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲪᲐᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის, პიანისტი მახეალ ჭუმბურიძის ხელოვნება თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი. მისი დაკვრა გამოირჩევა შესრულების მაღალი კულტურით, ავტორის ჩანფიქრის ღრმა წვდომით. გამონაკლისი არ იყო თბილისის კონსერვატორის მეორე დარბაზში ახლახან გმართული კონცერტიც, რომელზედაც პიანისტმა ოსტატურად შეასრულა ბეთჰოვენის, ა. მაჩავარიანის, ს. ნასიძის, გ. პაატაშვილის ნაწარმოებები. მ. ჭუმბურიძე ქართული მუსიკის მგზნებარე პროპაგანდისტია, იგი ხშირად ჩვენი რესპუბლიკის კომპოზიტორთა ნაწარმოებების პირველი შემსრულებელიც არის ხოლმე.

▼ ▼

ᲡᲐᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ — „ᲕᲔᲜᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

„ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ, ტემპი, ხარისხი, ეკონომია!“ — ამ დევიზით მოწყობილ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულად ცნეს მრავალტრიალიანი ბეგონი „ენგურის ჩირადანი“. მას მიეკუთვნა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და დარგის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპატაკი სიგელი.

„ენგურის ჩირადანი“ მტკიცედ რაზმავს კოლექტივს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ინტენსიურ-ეკონომიკური განვითარების კურსის დაჩქარებისა და მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. გაზეთში რეგულარულად იბეჭდება რეპორტაჟები, ნარკვევები, კორესპონდენციები ელექტროსადგურის მოწინავე ადამიანებზე, იმ მუშაობაზე, რომელიც საწარმოში მიმდინარეობს ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლისათვის. ახლს, პროგრესულს დამკვიდრებისათვის მიმართული ბევრი ინიციატივის მთავარედ გამოვდა „ენგურის ჩირადანი“. მისი თაოსნობით შეიქმნა, მაგალითად, ენგურპესის შრომითი დიდების მუზეუმი, რომელიც მრავალ დამთვალიერებელს ეზიდავს. „ენგურის ჩირადანი“ ხშირად ბეჭდავს ქვეყნის მონათესავე საწარმოთა მრავალტრიალიანი ბეგონების გაცვლით გვერდებს, გვაცნობს მუშაობის მოწინავე მეთოდებს, წარმოების ეფექტიანობის ზრდის დარგში მიღწეულ წარმატებებს, ამხელს ნაკლოვანებებს, ბარეგზებს, გვიჩვენებს მათი დაძლევის გზებს.

▼ ▼

ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡᲘ ᲒᲖᲘᲗ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ რაიონის სოფელ ქვედა საზანოს მცხოვრებლებს ორმოცდაათი კილომეტრის მეშოველ უწევდათ ვიდრე სოფელ ბოსლეგრამდე, დილიკაურსა და ქვედა საზანოში მოხვედრამდენ.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გაკეთდა და მწყობრში ჩადგა 5 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა და ხიდი. ადგილობრივ ბურჯაზე, რომელმაც გადაწყვიტა ამ სოფლების უმოკლესი მანძილით დაკავშირების პრობლემა.

„კომუნისტის“ საუთარი კორესპონდენტების **ბ. ჩხაიძის, ბ. ზარიკაძის** და **დ. ბიწაძის, საკადესისა** და **საკინფორმის** მასალები რუბრიკისთვის მომაზადა **ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.**

ᲒᲕᲘᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

5-6 თებერვალს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნის დათვალიერება-შემოწმება

ᲗᲔᲠᲔᲜᲘᲐ გაზაფხულზე თუ შეუფერხებლად იმუშავებს და მექანიზატორებს არ დაადალატებს, ამას აუცილებლად მოსავლის მატება, უკეთესი წელადობა და წონამატება მოჰყვება.

ამიტომაც აგრონომიწვი ამოვიფიქრეთ ზრუნვის იმისათვის, რომ მინდვრის სამუშაოებისათვის ტექნიკა დროზე ხარისხი და გარკვეული კონტრთამაშა მიიღო. თეორებმა ბრძოლის გაგრძელების მცდარი გეგმა აირჩიეს და მატერიალური დანაკლისის მიუხედავად, უპირატესობა ლევანტინას მხარეზე გადავიდა. ლაზიერის ფრთაზე განლაგებული თეორი მეფე საიმედოდ არ იყო დაცული, რაც კარგად გამოიყენა ლენინგრადელმა მოჭადრაკემ და გაიმარჯვა. კვლავ ძლიერად ითამაშა ლიტინსკაიამ, რომელიც, ჩვეულებრივ, ტურნირის სტარტზე კარგ შედეგს აღწევს ხოლმე. ასე იყო პრატენდენტთა ნინა ახაპარეზობაშიც. არახამიან ლვოველის წინააღმდეგ შავებით ვერ შეძლო მდგომარეობის გათანაბრება, ლიტინსკაიამ პაიკი შეხწორა და მეფის ფრთაზე ძლიერი იერიში წამოიწყო. არახამია ცაიტკოტში მოხვედ ფალ ბელიდან გაუშვა პარტიის გადარჩენის შესაძლებლობა. ლიტინსკაიამ ზედიზედ მეორე პარტია მოიგო.

გუშინ ოოსელიანმა მოუგო ბრუსტმანს, ლიტინსკაიამ — ალექსანდრიას, ახმილოვსკაია და ლეონტინა ყაიმზე შეთანხმდნენ, არახამია — გაფრინდაშვილს ბარტია კი გადაიდო. სამი ტურის შემდეგ ლიდერობს ლიტინსკაია — 3 ქულა.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

Გ. ᲙᲘᲙᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1921 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების პოლიტიკური მუშაკი **ვლადიმერ დიმიტრის ძე კიკალიშვილი.**

იგი დაიბადა 1902 წელს ფუღუკიძის რაიონის სოფელ დიდღვაბუნაში.

1925-1926 წლებში ვ. კიკალიშვილი წარმატებით ამთავრებს სხკრარისო ქართულ პოლიტიკურ სკოლას თბილისში და ამის შემდეგ მუშაობს პირველი ქართული დივიზიის შენაერთებში.

ვ. კიკალიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანელ ფაშისტთა განადგურების საქმეში. ომის წლებში ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე მოქმედ 44-ე და 46-ე არმიების საველე ჰოსპიტლების უფროსის მოადგილე იყო პოლიტდარგში.

1962 წელს მისი ავტორობით გამოიცა სამხედრო-პატრიოტული კრებული „სამშობლოს ერთგული დამცველები“.

ყველან, სადაც კი მოღვაწეობდა, ვ. კიკალიშვილი გამოირჩეოდა სამის ერთგულებით, კომუნისტისათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობით, რისთვისაც დაჯილდოებული იყო ლენინისა და სხვა ორდენებით, მრავალი მედლით.

სამშობლოს პატრიოტის, უანგარო და გულითადი მეგობრის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველასთვის, ვინც მას იცნობდა.

პარტიის თბილისის პირველი მაოსის რაიკომი, პირველი მაოსის რაიკომთან არსებული პარტიის ვეტერანთა სა-ბჭო.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ





ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სასახლის სამეშო განრიგი ერთიან დაძაბული გამოდგა იანვრის ბოლო დეკადაში. მართლაც, იოლი არ არის ათეულ დღეში სამი დიდი ასპარეზობის მასპინძლობა: „კალიფორნიის“ საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეები კალათბურთელებმა შეიკავალეს, ახლა კი სასახლის სარბიელზე კვლავ საბედაო ხალიჩებია გაშლილი — მიმდინარეობს ოცდამეშვიდე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

მედლეტებისათვის ბრძოლაში ჩაება მსოფლიოს ათი ქვეყნის 153 ფალავანი. როგორც წესი, ყველაზე მეტი — 65 მოჭიდავე გამოდის საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ამერიკელებმა 15 სპორტსმენი ჩამოიყვანეს თბილისში, საქართველოს გუნდი 22 ფალავანით არის წარმოდგენილი. ცხადია, გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვემძიმე და მძიმე წონიანი კატეგორიის მოჭიდავეთა პაექრობა, მით უმეტეს, სწორედ ამ წონაში ჩამოდიან ჩვენი გუნდის ლიდერები — ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივემ დამაჯერებლად მოიგო პირველი შეხვედრები. ხაბელოვმა ფაქელსტოგი (მონგოლეთი), მაკედონოვი (ბულგარეთი) და ნინაევი (დონეცკი) დაამარცხა, გობეჯიშვილმა კი უდვარდი (უნგრეთი), მედვედევ (მინსკი) და ერიქსონი (აშშ).